ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 106

19 მარტი
"---" -------- 2021 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქუჩა №33/პავლე ასლანიდის ქ. №40 (ყოფილი აკურის ქუჩა № 33, ალმასიანის ქუჩა №40, №42, №44, №46. (ნაკვეთი №35/31) (საკადასტრო კოდი: №01.10.13.035.053) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შუქრი კაკაურიძის (პ/ნ. 01019009108) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და ქ. თბილისში, ბიძინა კვერნაძის ქუჩა №33/პავლე ასლანიდის ქ. №40 (ყოფილი აკურის ქუჩა №33, ალმასიანის ქუჩა №40, №42, №44, №46. (ნაკვეთი №35/31) (საკადასტრო კოდი: №01.10.13.035.053) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შუქრი კაკაურიძის (პ/ნ 01019009108) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 მარტის №21.324.368 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შუქრი კაკაურიძის (პ/ნ. 01019009108) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა №33/პავლე ასლანიდის ქ. №40 (ყოფილი აკურის ქუჩა №33, ალმასიანის ქუჩა №40, №42, №44, №46. (ნაკვეთი №35/31) (საკადასტრო კოდი: №01.10.13.035.053) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, ფერდობი ნუცუბიძე, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი №7-ის მიმდებარედ არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში (ს/კ. №01.14.01.007.350) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (2020 წლის12 თებერვლის

განკარგულება №20.165.210) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (2020 წლის 18 თებერვლის განკარგულება №20) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებაზე - შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა სიმაღლის განმსაზღვრელი სქემისა და მიჯნის ზონის დაუცველად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე